KA030176703224619

№ 01-5678 **06 / ივნისი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს ბატონ
დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 10-14 ივნისს იტალიაში ქ. სანრემოში „ჰუმანიტარული სამართლის საერთაშორისო ინსტიტუტის“ (The International Institute of Humanitarian Law) ორგანიზებითა და „გაეროს ლტოლვილტა უმაღლესი კომისრის ოფისის“ (UNHCR) მხარდაჭერით დაგეგმილია იძულებით გადაადგილებულთა სამართლის შესახებ (16 th Course on the law of internally displacement) მე-16 კურსი.

კურსის მიზანია მონაწილეთათვის იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო ნორმების შესახებ ინფორმაციის წარდგენა, მონიტორინგის მექანიზმებთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენებისა და განხორციელების ხელშეწყობა, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების წახალისება, რათა მოხდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პოლიტიკის შექმნა ან არსებულის გაუმჯობესება.

აღნიშნულ ვიზიტში მონაწილეობის მიღების მიზნით მიწვეულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის დეპარტამენტის ეკომიგრანტთა საკითხების სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - დავით კაიკაციშვილი.

ვიზიტში მონაწილეობის ხარჯები (მგზავრობა და სასტუმრო) ანაზღაურდება მომწვევი მხარის მიერ.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ბატონი დავით კაიკაციშვილისათვის მიმდინარე წლის 9 ივნისიდან 14 ივნისის ჩათვლით და დღიური ნორმის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

პატივისცემით,

ELECTRONICALLY SIGNED

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია